**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**აკადემიური საბჭო**

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №34

ქ. ბათუმი **15 მაისი, 2017 წ.**

**ბსუ-ს განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში, ინგლისური ენის მიმართულებით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №21 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №21 დადგენილებისა და საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№5, 11.05.2017) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. დამტკიცდეს ბსუ-ს განათლების ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №21 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის შედეგი და ამ კონკურსის საფუძველზე **განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში, ინგლისური ენის მიმართულებით** ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე **2021 წლის 19 მაისამდე ვადით** არჩეული იქნეს **თეონა თედორაძე.**

2. კონკურსში გამარჯვებულ პირთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს 2017 წლის 19 მაისიდან.

3. დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს განათლების ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და კონკურსში გამარჯვებულ პირს.

4. დადგენილება არაუგვიანეს 2017 წლის 15 მაისისა გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**